

„ვამტკიცებ“
საქართველოს ფიზიკური აღზრდისა
და სპორტის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორის მ/შ
პროფესორი ჯემალ მაგანია

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა

პრეამბულა

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შიდა და გარე საუნივერსიტეტო შეფასება სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმია და მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველსაყოფად და გასაუმჯობესებლად.

მუხლი 1. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მექანიზმები

1. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებისათვის სასწავლო უნივერსიტეტში გამოიყენება შემდეგი მექანიზმები:
 - ა) ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის მომზადება და სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში“ წარდგენა;
 - ბ) სასწავლო უნივერსიტეტში რეალიზებული საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ფორმისა და კრიტერიუმების შემუშავება და მათ შესაბამისად ყოველწლიურად შიდა შეფასების განხორციელება;
 - გ) აკადემიური პერსონალის მიერ წარმართულ ლექციებსა და სამუშაო ჯგუფებში/პრაქტიკულ მეცადინეობებზე ურთიერთდასწრება;
 - დ) აკადემიური პერსონალის ყოველწლიური სამეცნიერო-პედაგოგიური ანგარიშების მომზადება და მონიტორინგი;
 - ე) პროგრამაში ჩართული პირების, დაინტერესებული მხარეების (სტუდენტი, აკადემიური პერსონალი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვ.) კითხვარების შემუშავება და გამოკითხვის ორგანიზება ყოველწლიურად;

2. სასწავლო უნივერსიტეტი ზრუნავს სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვაზე, აწყობს მათ თაობაზე შიდასაუნივერსიტეტო სამუშაო კონფერენციებს, სწავლობს უცხოურ პრაქტიკას და ხელს უწყობს მის დანერგვას.

მუხლი 2. შიდა შეფასების (თვითშეფასების) მექანიზმები, ინდიკატორები და განხორციელების წესები:

1. სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:
 - ა) შეიმუშავებს საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შედგენის ინსტრუქციებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და სტანდარტების მიხედვით;
 - ბ) სასწავლო წლის დასაწყისში საჭიროების შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭოსთან შეთანხმებით ამზადებს საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირების შესახებ წინადადებებს;
 - გ) შეარჩევს საგანმანათლებლო პროგრამების შიდა შემფასებელს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ამზადებს სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან შემფასებელს, უზრუნველყოფს პროგრამის შეფასებისას კონფიდენციალობის დაცვას; შიდა შემფასებელი (ექსპერტი), არ არის შესაფასებელი პროგრამის წარმომადგენელი, შეფასებისას იცავს ეთიკის ნორმებს, საჭიროების შემთხვევაში გააჩნია როგორც ზოგადი ცოდნა, ისე შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები;
2. საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს:
 - ა) საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმას სწავლების ყველა საფეხურისათვის;
 - ბ) საგანმანათლებლო პროგრამის გზამკვლევს შიდა შეფასების ექსპერტებისთვის;
 - გ) სილაბუსის შეფასების ფორმას და უზრუნველყოფს შიდა შემფასებლის მიერ მის შევსებასა და დასკვნის წარმოდგენას;
3. შიდა შეფასების შედეგების საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს აკადემიური პროგრამების ხარისხის ამაღლების მიზნით რეკომენდაციებსა და კრიტერიუმებს.

მუხლი 3. გარე შეფასების მექანიზმები, ინდიკატორები და განხორციელების წესები:

1. სასწავლო უნივერსიტეტი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის ახალი ვადით მოპოვების მიზნით 5 წელიწადში ერთხელ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარუდგენს განაცხადს, ავსებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარს და კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების გავლის

შემდგომ შესაბამისობის დადგენის მიზნით იწვევს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის ექსპერტებს;

2. სასწავლო უნივერსიტეტი ყოველწლიურად სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიურ ანგარიშსა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს ცენტრის მიერ დადგენილ ვადებში.

3. სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიური ანგარიშის ფარგლებში უნივერსიტეტი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განაცხადოს ახალი საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დამატების შესახებ და შესაბამისი პროცედურების გასავლელად მოიწვიოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის ექსპერტები;

4. სასწავლო უნივერსიტეტი ახალი საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის დამატების მიზნით უფლებამოსილია შეავსოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში, წარადგინოს სააკრედიტაციო განაცხადი სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში და შესაბამისი პროცედურების გასავლელად მოიწვიოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტები;

5. სასწავლო უნივერსიტეტი უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და პროგრამების ინტენაციონალიზაციის ასპექტის გაძლიერების მიზნით ნებაყოფლობით და სურვილისამებრ იწვევს უცხოელ ექსპერტებს, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში არჩევს გარე შემფასებლებს.

6. უცხოელი ექსპერტისა ან/და გარე შემფასებლის მიერ გაკეთებულ დასკვნებსა და რეკომენდაციებს იყენებს საგანმანათლებლო პროგრამების რეიტინგის ამაღლების, ხარისხის გაუმჯობესების, კონკურენტუნარიანობის გაზრდისა და უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მიზნით.

მუხლი 4. აკადემიური პერსონალის შეფასება

4.1. აკადემიური პერსონალის ხარისხის შეფასება და განსაზღვრა ხორციელდება ორი მიმართულებით:

- ა) სწავლების კომპეტენციის დადგენით;
- ბ) სამეცნიერო კომპეტენციის დადგენით.

4.2. აკადემიური პერსონალის სწავლების კომპეტენციის დადგენისას გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები:

- ა) სილაბუსის შემუშავება, სწავლების და შეფასების სწორი მეთოდების გამოყენება;
- ბ) პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

- გ) ცოდნის გადაცემის უნარის შემოწმება;
- დ) სტუდენტის სამართლიანი შეფასება;
- ე) დარგობრივი კომპეტენციების ცოდნა;
- ვ) სასწავლო კურსის განხორციელების პროცესის მართვა;
- ზ) კონსულტაციების გამართვა.

4.3 აკადემიური პერსონალის სწავლების კომპეტენციის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი მეთოდები:

- ა) აკადემიური პერსონალის თვითშეფასება;
- ბ) აკადემიური პერსონალის მიერ წარმართულ ლექციებსა და სამუშაო ჯგუფში/პრაქტიკულ მეცადინეობებზე ურთიერთდასწრება;
- გ) შეფასება სტუდენტის მიერ;
- დ) სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი;
- ე) სილაბუსის შემოწმება.

4. 4 აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კომპეტენციის შეფასებისას სასწავლო წლის ბოლოს ხორციელდება აკადემიური პერსონალის ყოველწლიური სამეცნიერო-პედაგოგიური ანგარიშების მომზადება, რისთვისაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს სპეციალურ ფორმებს;

5. სტუდენტის მიერ აკადემიური პერსონალის შეფასება აკადემიური პერსონალის შეფასების მნიშვნელოვანი მეთოდია, რისთვისაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს სტუდენტთა გამოკითხვის ანკეტა-კითხვარებს;

6. სტუდენტთა სისტემატური გამოკითხვის ორგანიზებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შეიმუშავებული აქვს კრიტერიუმები, რეგულაციები და პროცედურები; სტუდენტების გამოკითხვა ხორციელდება ყოველი სასწავლო წლის/სემესტრის ბოლოს; გამოკითხვა არის ანონიმური და აუცილებელია კონფიდენციალობის დაცვა;

7. სტუდენტების გამოკითხვის შედეგად ხდება შედეგების რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზი, მათი საჯაროდ გამოქვეყნება და რეკომენდაციების წარდგენა.

8. აკადემიური პერსონალის თვითშეფასების ანგარიშის ანალიზის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარადგენს რეკომენდაციებს აკადემიური საბჭოს წინაშე სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიზნით.

მუხლი 5. სტუდენტთა შეფასება

1. სასწავლო პროცესის შეფასების უმთავრეს ინდიკატორს წარმოადგენს სტუდენტთა აკადემიური მოსწრება;

2. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგად დგინდება:

- ა) საგანმანათლებლო პროგრამის და ცალკეული საგნების სირთულის ხარისხი და დონე;
- ბ) შეფასებისას გამოყენებული მეთოდების ადეკვატურობა;
- გ) აკადემიური პერსონალის პედაგოგიური უნარ-ჩვევები;
- დ) სტუდენტების მომზადების დონე.

3. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების განზოგადებული ანალიზის შედეგები ქვეყნდება საჯაროდ თქვენი ვებგვერდზე დიაგრამების სახით, ფაკულტეტების, საგანმანათლებლო პროგრამებისა ან/და სასწავლო კურსების მიხედვით.

4. აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზის შემდეგ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესში არსებული ხარვეზების შემცირებისა და აღმოფხვრის მიზნით.

მუხლი 6. პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის მექანიზმი

1. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეებია: დამსაქებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები;
2. აღნიშნული პირების ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფასა და განვითარებაში დასაბუთებულია სახელმწიფოს, შრომის ბაზრის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, საზოგადოებისა და დამსაქმებლების მოთხოვნებისა და საჭიროების კვლევის მეთოდით;
3. კვლევა ტარდება გამოკითხვის მეთოდით;
4. კვლევის შედეგების საფუძველზე შექმნილი საერთო სურათი პროგრამის ხელმძღვანელებს აძლევს შესაბამის მიმართულებებს - უკეთ დაგეგმონ სასწავლო პროცესი, გაითვალისწინონ საბაზრო მოთხოვნილებები და სტუდენტთა დამოკიდებულება აღნიშნული პროგრამის განვითარების მიმართულებით.
5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ატარებს გამოკითხვებს დაინტერესებულ მხარეებთან, რისთვისაც ადგენს სხვადასხვა სახის კითხვარებს;
6. გამოკითხვები ტარდება იმ ორგანიზაციებთან და პრაქტიკის ობიექტებთან, რომლებთანაც უნივერსიტეტს პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები (მემორანდუმები).

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სწავლების ხარისხის შეფასების წესი

სასწავლო პროცესის უნივერსიტეტის მისიასთან შესაბამისობის მიზნით ეს წესი ადგენს სწავლების ხარისხის შეფასების პროცედურას და ფორმებს.

1. მიზანი

1.1 ამ წესის მიზანია სწავლების ხარისხის მაჩვენებლების მონიტორინგი და მათი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა.

1.2 სწავლების ხარისხის მაჩვენებელია საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხი, სასწავლო პროცესის ორგანიზების დონე, მისი მეთოდური და ტექნიკური უზრუნველყოფა.

1.3 სწავლების ხარისხის შეფასებისათვის მოწმდება:

- საგანმანათლებლო პროგრამა და ცალკეული სასწავლო კურსები;
- აკადემიური პერსონალის კომპეტენტურობა;
- საუნივერსიტეტო გარემო;
- სტუდენტების აკადემიური მოსწრება;
- კურსდამთავრებულთა დასაქმება.

2. სწავლების ხარისხის შეფასების ციკლი

2.1 სწავლების ხარისხის შეფასების ციკლი შედგება შემდეგი ეტაპებიდან:

დაგეგმე- განახორციელე- შეამოწმე-განავითარე.

დაგეგმე - წინამდებარე წესით დადგენილია სასწავლო პროცესის რომელი ასპექტები რა პერიოდულობით და თანმიმდევრობით, რომელი კრიტერიუმით და ვის მიერ იქნება შეფასებული.

განახორციელე - სწავლების ხარისხის შეფასების განხორციელება ხდება წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით და პირების მიერ.

შეამოწმე - განხორციელებული კვლევით მიღებული ინფორმაციის ანალიზს ახორციელებს ხარისხის მართვის სამსახური და შედეგები ეცნობება აკადემიურ საბჭოს.

განავითარე - აკადემიური საბჭო განსაზღვრავს ნაკლოვანებების მიზეზს და მათი აღმოფხვრის მიზნით შეიმუშავებს სათანადო რეკომენდაციებს. ნაკლოვანებების არარსებობის შემთხვევაში დასახავს არსებული დამაკმაყოფილებელი ვითარების შენარჩუნების მექანიზმებს.

3. სწავლების ხარისხის შეფასების ფორმები

3.1 სასწავლო პროცესის უნივერსიტეტის მისიასთან შესაბამისობის მიზნით გამოიყენება სწავლების ხარისხის შემოწმების შემდეგი ფორმები:

ა) ლექტორის საქმიანობის შეფასება;

- ბ) სტუდენტთა გამოკითხვა;
- გ) სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი;
- დ) დასაქმებული კურსდამთავრებულის და მისი დამსაქმებლის გამოკითხვა;
- ე) კურსდამთავრებულთა დასაქმების აღრიცხვა;
- ვ) პროგრამის ექსპერტიზა უცხოელი ანდა ადგილობრივი ექსპერტის მიერ.

4. ლექტორის შეფასება

ლექტორის საქმიანობის შეფასება ხდება კომპლექსურად შემდეგი ხერხებით:

- ა) ლექტორის თვითშეფასება;
- ბ) ადმინისტრაციის მიერ ლექტორის შეფასება;
- გ) სტუდენტთა გამოკითხვა.

5. ლექტორის თვითშეფასება

5.1 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი და მოწვეული სპეციალისტი სემესტრულად, დასკვნითი გამოცდის შედეგების მიწოდების შემდეგ ავსებს ამ წესის **დანართი N1 დადგენილ თვითშეფასების ფორმას**.

5.2 აკადემიური პერსონალისა და მოწვეული სპეციალისტების თვითშეფასების ორგანიზებას ახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტი და შევსებულ ფორმებს აწვდის ხარისხის მართვის სამსახურს. შესაძლებელია ფორმების ელექტრონული სახით შევსება.

5.3 აკადემიური პერსონალის და მოწვეული სპეციალისტის მიერ შევსებულ თვითშეფასების ფორმებს ამუშავებს ხარისხის მართვის სამსახური და შედეგებს წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.

6. ადმინისტრაციის მიერ ლექტორის შეფასება

6.1 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული სპეციალისტების საქმიანობის შეფასება ხდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ სემესტრულად, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ.

6.2 ადმინისტრაცია ლექტორის შეფასებას ახორციელებს შემდეგი კრიტერიუმებით:

- სილაბუსის შემუშავება, სწავლებისა და შეფასების ადეკვატური მეთოდების შერჩევა, კურსკულუმების შემუშავებაში მონაწილეობა, შუალედური და დასკვნითი გამოცდების საკითხების და შედეგების დროული მიწოდება, შუალედური და დასკვნითი გამოცდების ფორმატის სილაბუსთან შესაბამისობა;

- ცოდნის გადაცემის, მიწოდების უნარი - სტუდენტების მოტივირება, მოცემული სასწავლო კურსით მათი დაინტერესება, სტუდენტებთან ეფექტური კომუნიკაცია, სტუდენტების სამართლიანი შეფასება;

- სასწავლო კურსის, დარგობრივ სფეროში მიმდინარე ცვლილებებისა და სიახლეების ცოდნა და სხვ.

- სასწავლო კურსის მართვის უნარი - სასწავლო კურსის განხორციელებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული მოვალეობების შესრულება, მაგალითად კონსულტაციები, ლექციაზე დროზე მოსვლა, ლექციების გაცდენა და სხვ.

6.3 ფაკულტეტის დეკანი/ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენელი ესწრება ლექციას და ავსებენ ამ წესის **დანართი N2 დადგენილ ლექტორის შეფასების ფორმას**.

6.4 ადმინისტრაციის მიერ აკადემიური პერსონალისა და მოწვეული სპეციალისტების საქმიანობის შეფასების შედეგები უნდა ეცნობოს აკადემიურ საბჭოს.

7. სტუდენტთა გამოკითხვა

7.1 სტუდენტის გამოკითხვა ხდება შემდეგი მიმართულებით:

- საუნივერსიტეტო გარემოს შეფასება;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება;
- ცალკეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება.

7.2 სტუდენტი საუნივერსიტეტო გარემოს აფასებს ამ წესის **დანართი N3 დადგენილი ფორმის მიხედვით**. სტუდენტის გამოკითხვა ხდება წელიწადში ერთხელ სასწავლო წლის დასრულების შემდეგ.

7.3 სტუდენტი საგანმანათლებლო პროგრამას აფასებს ამ წესის **დანართი N4 დადგენილი ფორმის მიხედვით**. სტუდენტის გამოკითხვა ხდება სემესტრულად, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოქვეყნებამდე.

7.4 სტუდენტი სემესტრულად, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოქვეყნებამდე აღნიშნავს თითოეული სასწავლო კურსის/მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის დონეს ამ წესის **დანართი N5 დადგენილი ფორმის მიხედვით**.

7.5 ამ წესით დადგენილი სტუდენტთა გამოკითხვა ანონიმურია.

7.6. საჭიროების შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭო სემესტრულად, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე ატარებს ინტერვიუს მაღალი, საშუალო და დაბალი შედეგების მქონე სტუდენტთან. ფაკულტეტის საბჭოს სხდომას ესწრება ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი. ფაკულტეტის საბჭოს სხდომა ფორმდება ოქმით.

7.7. ამ წესის 7.2, 7.3 და 7.4 პუნქტებით დადგენილი სტუდენტთა გამოკითხვის ორგანიზებას ახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტი, ხოლო გამოკითხვის ანალიზს ხარისხის მართვის სამსახური. სტუდენტის გამოკითხვის და ფაკულტეტის საბჭოს სხდომის შედეგები უნდა ეცნობოს აკადემიურ საბჭოს.

8. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი

8.1 სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზს სემესტრულად **დანართი N6 დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით** ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული.

8.2 სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგები უნდა ეცნობოს აკადემიურ საბჭოს.

9. დასაქმებული კურსდამთავრებულის და დამსაქმებლის გამოკითხვა

9.1 უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ატარებს დასაქმებული კურსდამთავრებულისა და მისი დამსაქმებლის გამოკითხვას.

9.2 დასაქმებული კურსდამთავრებულისა და მის დამსაქმებელთან ინტერვიუ ტარდება ამ წესის **დანართი N7 დადგენილი ფორმით**. ინტერვიუს ატარებს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ შერჩეული პირი. ინტერვიუს შეიძლება დაესწროს ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენელი.

9.3 კურსდამთავრებულის გამოკითხვა ტარდება ერთჯერადად უნივერსიტეტისათვის მისი პირველი დასაქმების შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 6 თვის ვადაში.

9.4 კურსდამთავრებულის დამსაქმებელთან ინტერვიუ ტარდება ერთჯერადად უნივერსიტეტისათვის კურსდამთავრებულის პირველი დასაქმების შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 6 თვის ვადაში.

9.5 დასაქმებული კურსდამთავრებულის გამოკითხვის და კურსდამთავრებულის დამსაქმებლის ინტერვიუს შედეგები უნდა ეცნობოს აკადემიურ საბჭოს.

10. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმების აღრიცხვა

10.1 საგანმანათლებლო პროგრამის უნივერსიტეტის მისიასთან შესაბამისობის მიზნით ხარისხის მართვის სამსახური ყოველწლიურად ამუშავებს მონაცემებს კურსდამთავრებულთა შრომის და განათლების ბაზარზე დასაქმების შესახებ.

10.2 კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ მონაცემების აღრიცხვა ხდება საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან 5 წლის განმავლობაში.

10.3. კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ მონაცემები უნდა ეცნობოს აკადემიურ საბჭოს.

11. საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტიზა

11.1 ახალი საგანმანათლებლო პროგრამა და უნივერსიტეტში არსებული განახლებული საგანმანათლებლო პროგრამა გადაეცემა უცხოელ ან/და ადგილობრივ ექსპერტს შეფასებისათვის.

11.2 ექპერტის შეფასება განიხილება აკადემიური საბჭოს უახლოეს სხდომაზე.

12. უნივერსიტეტის შიდა შეფასების შედეგების საჯაროობა

უნივერსიტეტის შიდა შეფასების შედეგების ანალიზი ყოველწლიურად, სასწავლო წლის დასრულების შემდეგ საჯაროდ განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

ლექტორის თვითშეფასება

ლექტორის გვარი, სახელი ----- შემოხაზეთ პასუხი:

1. არსებობს თუ არა უნივერსიტეტში შესაბამისი გარემო ლექციის ჩასატარებლად?

- ა. კი
- ბ. ნაწილობრივ
- გ. არა
- დ. სხვა -----

2. საკმარისი იყო თუ არა სტუდენტებისათვის სასწავლოს კურსის ასათვისებლად გამოყოფილი დრო?

- ა. სრულად საკმარისი
- ბ. ჯობდა მეტი დრო დათმობოდა
- გ. ძალიან ცოტა დრო იყო გამოყოფილი
- დ. სხვა-----

3. აღრიცხავთ თუ არა სტუდენტთა დასწრებას?

- ა. კი, სისტემატიურად
- ბ. არა
- გ. არასისტემატიურად
- დ. სხვა-----

4. გასულ სემესტრში აგვიანებდით ლექციაზე/ადრე უშვებდით?

- ა. მსგავსი არ ყოფილა
- ბ. იშვიათად
- გ. ვაცდენდი
- დ. სხვა -----

5. მიუთითეთ სემესტრის განმავლობაში თქვენს მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის დასახელება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)-----

6. მიუთითეთ სამეცნიერო კონფერენციებში (ტრენინგებში) მონაწილეობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) -----

7. უნივერსიტეტის ფარგლებში ან მის გარეთ, თუ ჩატარებულა რაიმე ღონისძიება თქვენი ხელმძღვანელობით (ოლიმპიადა, საზაფხულო სკოლა და სხვ.)?

8. მიუთითეთ, რომელი პროფესიული ასოციაციის წევრი ხართ? (ასეთის არსებობის შემთხვევაში)-----

9. რა ინტენსიურობით ატარებთ კონსულტაციებს სტუდენტებთან?-----

10. რას შეცვლიდით უნივერსიტეტის საქმიანობაში? შევსების თარიღი-----

დანართი 2

ლექტორის და სასწავლო კურსის შეფასების ფორმა

კურსის სახელი -----

ლექტორი -----

ამ გამოკითხვის მიზანია თქვენი ლექტორის და მისი სასწავლო კურსის შეფასება. გთხოვთ თითოეული კითხვა შეაფასოთ 5 ბალიან სკალაზე, სადაც

1-ნიშნავს საერთოდ არ ვეთანხმები

2-არ ვეთანხმები

3- ნეიტრალური პოზიცია

4- ვეთანხმები

5- სრულიად ვეთანხმები

კითხვარის ბოლო ნაწილი შესაძლებლობას იძლევა წერილობით შეაფასოთ თქვენი ლექტორი და მისი კურსები. გამოკითხვა ანონიმურია და ლექტორი კურსის დასრულებამდე ვერ გაეცნობა გამოკითხვის შედეგებს. გთხოვთ, იყოთ მაქსიმალურად გულწრფელი. თქვენი პასუხები დაგვეხმარება სამომავლოდ გავაუმჯობესოთ პროგრამა.

1. ლექტორი ყოველთვის დროზე მოდის ლექციებზე და დათქმულ შეხვედრებზე

1 2 3 4 5

2. ლექტორი კარგადაა მომზადებული თითოეული ლექციისთვის

1 2 3 4 5

3. ლექტორი იყენებს მაგალითებს და ილუსტრაციებს მასალის ნათლად გადმოსაცემად

1 2 3 4 5

4. ლექტორი საინტერესოდ ხსნის მასალას

1 2 3 4 5

5. ლექტორი შეკითხვებს პასუხობს ამომწურავად და გასაგებად

1 2 3 4 5

6. ლექტორი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა დარწმუნდეს, რომ სტუდენტებს ესმით კურსის ძირითადი იდეები

1 2 3 4 5

7. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა დასვან კითხვები და მონაწილეობა მიიღონ დისკუსიებში

1 2 3 4 5

8. ლექტორი უბიძგებს სტუდენტებს, რომ იაზროვნონ კრიტიკულად და ანალიტიკურად

1 2 3 4 5

9. ლექტორი მზადაა კლასგარეშე კონსულტაციები ჩაატაროს სტუდენტებთან

1 2 3 4 5

10. სტუდენტებმა იციან, რას უნდა მოელოდნენ ლექციისგან, ლექტორი წინასწარ აცნობებს განსახილველ თემებს

1 2 3 4 5

11. ლექტორის მიერ დასახელებული სასწავლო მასალები (სახელმძღვანელო, დამხმარე მასალები) სრულიად შეესაბამება კურსს

1 2 3 4 5

12. დავალებები სირთულისა და მოცულობის მიხედვით შეესაბამება სტუდენტის შესაძლებლობებს

1 2 3 4 5

13. კურსის ხარისხს ვაფასებ როგორც

1. ძალიან კარგი
2. კარგი
3. საშუალო
4. ცუდი
5. ძალიან ცუდი

14. თუ ეს კურსი კვლავ იქნება შეთავაზებული მომავალ წელს, სხვა სტუდენტებს ურჩევთ მის არჩევას?

1. დიახ
2. არა
3. მიჭირს პასუხის გაცემა

15. რა თვისებების გამო მიგაჩნიათ თქვენი ლექტორი კარგ მასწავლებლად? -----

16. რა არ მოგწონთ თქვენ ლექტორში? -----

----- თარიღი -----

გმადლობთ თანამშრომლობისათვის! საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

დანართი 3

სტუდენტის კითხვარი

სასწავლო გარემოს შეფასება

(სასწავლო წელი----- სემესტრი: საშემოდგომო, საგაზაფხულო)

მიუთითეთ რომელი წლის ჩარიცხვის სტუდენტი ბრძანდებით: -----

1. მოგწონთ თუ არა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დამოკიდებულება სტუდენტებისადმი?

ა. კი

ბ. არა

თუ არ მოგწონთ, გთხოვთ დაგვიკონკრეტოთ მიზეზი -----

2. არსებობს თუ არა სტუდენტთა ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი კულტურული, ინტელექტუალური და პიროვნული განვითარებისათვის ჰარმონიული შიდასაუნივერსიტეტო გარემო?

ა. კი

ბ. არა

გ. ნაწილობრივ

3. გეგმავთ თუ არა უნივერსიტეტიდან გადასვლას?

ა. კი

ბ. არა

4. გაკმაყოფილებთ თუ არა სწავლის პირობები (მატერიალურ-ტექნიკური ბაზა)?

ა. კი

ბ. არა

გ. ნაწილობრივ

სხვა -----

5. დაგხვდათ თუ არა ცხრილი გამოკრული სათანადო ადგილას?

ა. ცხრილი გამოკრული და ხელმისაწვდომი იყო

ბ. ცხრილი გამოკრული იყო, მაგრამ ისეთ ადგილას, რომ სპეციალურად თუ არ მიგვითითებდნენ, ვერ მიაგნებდი

გ. ცხრილი არ იყო გამოკრული

დ. ცხრილი გააკრეს დაგვიანებით

ე. არ მახსოვს სხვა -----

6.. გასაგები იყო თუ არა თქვენთვის რა პრინციპით უნდა აგერჩიათ სასწავლო კურსები?

ა. აბსოლუტურად გაუგებარი იყო

ბ. თავიდანვე გასაგები იყო

გ. ვერც მაშინ გავერკვიე და არც ახლა მესმის

7. გაგიწიათ თუ არა ვინმემ კონსულტაცია, რომელი სასწავლო კურსები აგერჩიათ?

ა. დიახ

ბ. არავინ არ გვაძლევდა რჩევებს

გ. სხვა -----

8. იცით თუ არა რას ნიშნავს კრედიტი და როგორ უნდა მოიპოვოთ ის?

ა. ვიცი კარგად

ბ. ვიცი ბუნდოვნად

გ. მხოლოდ მსმენია

დ. არ ვიცი

9. გაკმაყოფილებთ თუ არა სახელმძღვანელოებთან დაკავშირებული სიტუაცია?

ა. ყველა სახელმძღვანელო შეიძლება იყიდო

ბ. ზოგი სახელმძღვანელო იყიდება, ზოგი ბიბლიოთეკაშია

გ. ზოგი სახელმძღვანელო საერთოდ არ იშოვება და გვიწევს მათი ასლების დამზადება

დ. სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე არ არის, ხოლო უცხო ენაზე გვიჭირს კითხვა

ე. ლექტორების ძალიან ბევრ სახელმძღვანელოებს გვთხოვენ ერთი კურსის ფარგლებში

ვ. სახელმძღვანელოები ბიბლიოთეკაში არ არის

ზ. სხვა -----

10. ხელმისაწვდომია თუ არა თქვენთვის სილაბუსი?

ა. არის

ბ. არ არის

გ. ნაწილობრივ

დ. არ მსმენია სილაბუსის შესახებ

ე. სხვა -----

11. როგორ შეაფასებდით თქვენს არჩევანს:

ა. მოლოდინი გაამართლა

ბ. მოლოდინი ნაწილობრივ გაამართლა, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ

გ. მოლოდინი არ გამიმართლა არ უნდა ჩამეხარებინა ამ უნივერსიტეტში

დ. მოლოდინი არ გამიმართლა არ უნდა ჩამეხარებინა ამ პროგრამაზე

12. გთხოვთ მიუთითოთ რა უნდა გაკეთდეს უნივერსიტეტში სწავლების ხარისხის

გასაუმჯობესებლად? -----

13. გთხოვთ, მიუთითოთ რა უნდა გაკეთდეს უნივერსიტეტში სტუდენტთა მომსახურების

ხარისხის გასაუმჯობესებლად? -----

14. გთხოვთ მიუთითოთ ყველაზე მნიშვნელოვანი რა მოგცათ უნივერსიტეტმა? -----

გმადლობთ თანამშრომლობისთვის და გულახდილობისთვის!

დანართი N 4

სტუდენტის კითხვარი

უმაღლესი აკადემიური პროგრამის შეფასება

სასწავლო წელი, სემესტრი: საშემოდგომო, საგაზაფხულო

ფაკულტეტის სახელწოდება (ხაზი გაუსვით)

- მწვრთნელთა;
- ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია;
- პედაგოგიური;

მიუთითეთ რომელი წლის ჩარიცხვის სტუდენტი ბრძანდებით: -----

1. სემესტრის განმავლობაში თქვენს მიერ გავლილი საგნების რაოდენობა და სირთულე შეესაბამებოდა თუ არა თქვენს უნარებსა და შესაძლებლობებს?

ა. საგნების რაოდენობა შეესაბამებოდა, სირთულე არ შეესაბამებოდა

ბ. არცერთი არ შეესაბამებოდა გ. ორივე შეესაბამებოდა დ. საგნების სირთულე შეესაბამებოდა, მაგრამ არ შეესაბამებოდა რაოდენობა

2. თქვენი აზრით, შეფასების სისტემა (არა ლექტორის მიერ დაწერილი შეფასებები, არამედ უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების სისტემა) ორიენტირებულია:

ა. სტუდენტისათვის ცოდნის მიცემაზე

ბ. სტუდენტის ჩაჭრაზე შენიშვნა (რას შეცვლიდით) -----

3. ფიქრობთ თუ არა, რომ გავლილი საგნებიდან ერთი ან რამდენიმე საგანი ზედმეტია, რამეთუ, მისი გავლით შეძენილი ცოდნა არ გამოგადგებათ სპეციალობის დაუფლებაში.

ა. ვფიქრობ ზედმეტია

ბ. არცერთი არაა ზედმეტი

თუ ფიქრობთ, რომ ზედმეტია - მიგვითითეთ რომელი საგანი -----

4.საკმარისად მიგაჩნიათ თუ არა თქვენს მიერ მიღებული ცოდნა მომავალი დასაქმებისათვის?

ა. დიახ

ბ. არა გ.

ნაწილობრივ შენიშვნა -----

5.აპირებთ თუ არა სწავლის გაგრძელებას მაგისტრატურაში?

ა. დიახ

ბ. არა

გ. არ ვიცი

6. ხელმისაწვდომია თუ არა თქვენთვის პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი რესურსი:

ა. სრულად

ბ. ნაწილობრივ

გ. არ არის ხელმისაწვდომი

7. საშუალოდ რა დრო გჭირდებათ ერთი სალექციო თემის მოსამზადებლად? ()სთ

8. საშუალოდ რა დრო გჭირდებათ ერთი შუალედური გამოცდის მოსამზადებლად?()სთ

9. საშუალოდ რა დრო გჭირდებათ დასკვნითი გამოცდის მოსამზადებლად?()სთ

10. გთხოვთ აღნიშნოთ სასწავლო კურსების მიხედვით სწავლის შედეგების მიღწევის დონე:

- სილაბუსში განსაზღვრულ სწავლის შედეგს სრულად მივაღწიე
- სილაბუსში განსაზღვრულისწავლის შედეგს ნაწილობრივ მივაღწიე
- სასწავლო კურსის სილაბუსში განსაზღვრულ სწავლის შედეგს ვერ მივაღწიე

გმადლობთ თანამშრომლობისთვის და გულახდილობისთვის!

დანართი 4-ა

პროგრამის შეფასების კითხვარი

სასწავლო პროგრამა: _____

სასურველი პასუხი აღნიშნეთ ✓

N	დებულებები	დიახ	არა	მიჭირს პასუხი
1	პროგრამა შეესაბამება ჩემ სპეციალობას			

2	პროგრამაში გამოყენებული სწავლისა და სწავლების მეთოდები მეხმარება სწავლაში			
3	სწავლების სტილმა განაპირობა თქვენი ინტერესი პროგრამის მიმართ			
4	მოწოდებული სასწავლო მასალები დამეხმარა სწავლის პროცესში			
5	სწავლებისა და სწავლისთვის დათმობილი დრო ადექვატურია.			
6	სასწავლო მასალები კარგად იყო მომზადებული და ზედმიწევნით კარგად ახსნილი			
7	მოთხოვნილი სამუშაოს მოცულობა გონივრულია.			
8	გვექონდა ერთმანეთისათვის მოსაზრებებისა და ცოდნის გაზიარების საშუალება			
9	პროფესორები მეპყრობოდნენ სამართლიანად			
10	შეფასების სისტემა აგებულია ისე, რომ მეხმარება სწავლაში			
11	შესრულებულ დავალებაზე მიღებული კომენტარები მეხმარება სწავლაში			
12	შეფასებები ხდებოდა სილაბუსში გაწერილი კრიტერიუმების მიხედვით			
13	ნაშრომის შეფასება იყო სამართლიანი			
14	შეფასებაზე გაკეთებული კომენტარები (შენიშვნები, მითითებები) იყო ღირებული			
15	შეგვეძლო თავისუფლად მიმემართა პროფესორებისათვის დახმარებისა და რჩევისათვის			
16	პროგრამა დამეხმარა გამევითარებინა კრიტიკული აზროვნების, ანალიზის, პრობლემის გადაჭრის და კომუნიკაციის უნარები.			
17	პროგრამა იყო საკმარისად მოქნილი იმისთვის, რომ ამერჩია ჩემთვის საინტერესო კურსები.			
18	საზოგადოდ, მე კმაყოფილი ვარ სწავლის პროცესით პროგრამის ფარგლებში			

სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი

(სასწავლო წელი, სემესტრი)-----

1. სტატისტიკური მონაცემები სტუდენტთა დასწრების შესახებ (საგანმანათლებლო პროგრამა) დარეგისტრირებულ სტუდენტთა რაოდენობა -----
2. სასწავლო კურსის დასახელება-----
I – VII სასწავლო კვირა
IX-XV სასწავლო კვირა
3. სტატისტიკური მონაცემები სტუდენტთა შუალედურ გამოცდაზე გასვლის შესახებ დარეგისტრირებულ სტუდენტთა რაოდენობა-----
სასწავლო კურსის დასახელება-----
გავიდა შუალედურ გამოცდაზე -----
არ გავიდა შუალედურ გამოცდაზე-----
აღადგინა შუალედური გამოცდა -----
4. სტატისტიკური მონაცემები სტუდენტთა დასკვნით გამოცდაზე გასვლის შესახებ დარეგისტრირებულ სტუდენტთა რაოდენობა-----
სასწავლო კურსის დასახელება-----
გავიდა -----
არ იყო დაშვებული -----
არ გავიდა-----
ჩააბარა გამოცდა მოიპოვა კრედიტი-----
დამატებითი გამოცდა აღადგინა რაოდენობა
ისარგებლა-----
არ ისარგებლა -----
5. სტატისტიკური მონაცემები სტუდენტების აკადემიური მოსწრების შესახებ სასწავლო კურსების მიხედვით
A B C D E FX F

6. რამდენი სტუდენტი იყო მოხსნილი შუალედური და დასკვნითი გამოცდებიდან?-----

რა იყო გამოცდიდან სტუდენტების მოხსნის ძირითადი მიზეზები?-----

7. საშუალოდ რა დრო დაჰყვეს სტუდენტებმა გამოცდებზე?

ყველაზე მცირე

ყველაზე ხანგრძლივი ყოფნა გამოცდაზე

8. შენიშვნები -----

სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი პირი

თარიღი

ფორმა ივსება ყოველი სასწავლო სემესტრის სტუდენტური ბაზის დახურვიდან ერთი კვირის ვადაში და გადაეცემა უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსს, რომელიც აღნიშნულ ინფორმაციას წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.

დამსაქმებლის კითხვარი

(დაწესებულების/ორგანიზაციის სახელწოდება, მისამართი და ტელეფონი)

1.რამდენად უზრუნველყოფს ჩვენი კურსდამთავრებულების განათლება იმ მოთხოვნებს, რაც აუცილებელია თქვენთან სამსახურებრივი საქმიანობის შესასრულებლად?

- ა) სრულად
- ბ) ნაწილობრივ
- გ) ვერ უზრუნველყო

სხვა _____

2.რა ცოდნა არ მიგაჩნიათ საკმარისად ჩვენი კურსდამთავრებულების განათლებაში სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად?

- ა) თეორიული ცოდნა
- ბ) პრაქტიკული უნარ-ჩვევები
- გ) უცხო ენის ცოდნა
- დ) დამოუკიდებელი მუშაობის უნარი
- ე) გუნდში მუშაობის უნარი
- ვ) არასპეციალისტებისათვის გასაგებად ახსნის უნარი

ზ) საკუთარი შეხედულების დასაბუთების უნარი

თ) დროის სწორი გათვლის უნარი

ი) ცოდნის მუდმივი განახლების უნარი

კ) დებატებში ჩართვისა და განსხვავებული აზრის გაზიარების უნარი

ლ) ადამიანური ღირებულებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა

სხვა _____

3. თუ დაგჭირდათ ჩვენი კურსდამთავრებულის გადამზადება (მათთვის დამატებით ცოდნის/უნარ-ჩვევების გადაცემა)? სად და რა ფორმით მოხდა ეს?

რა დრო და ფინანსები დასჭირდა გადამზადებას?

ა) კი

ბ) არა

4. რა წესით ხდება თქვენს ორგანიზაციაში კადრის შერჩევა ვაკანსიის დაკავებისას?

ა) ვაკანსიის გამოცხადებით;

ბ) სხვა კომპანიიდან კადრების გადმოზიდვით;

გ) თანამშრომლების ან ნაცნობების რეკომენდაციით;

სხვა _____

5. ძირითადად როგორ უზრუნველყოფთ შესაბამისი კვალიფიკაციების მქონე ადამიანების მოძიებას?

ა) სტაჟირების შედეგად

ბ) გასაუბრებით

გ) რეკომენდაციით

დ) ტესტირებით

6. კმაყოფილი ხართ, რომ თქვენი არჩევანი შეაჩერეთ ჩვენს კურსდამთავრებულზე?

ა) კი

ბ) არა

7. გთხოვთ აღწეროთ ის ძირითადი სირთულეები, რომლებიც გხვდებათ ადამიანური რესურსების მოძიებისას

- ა) შრომით ბაზარზე კვალიფიციური კადრების ნაკლებობა;
- ბ) არასაკმარისი კომუნიკაცია კურსდამთავრებულებთან;
- გ) არასაკმარისი კომუნიკაცია საუნივერსიტეტო დასაქმების ცენტრებთან;
- დ) კურსდამთავრებულის მხრიდან რეგიონებში დასაქმების არასაკმარისი მზაობა
- ე) კურსდამთავრებულის მხრიდან შეთავაზებულზე მეტი ანაზღაურების მოთხოვნა
სხვა _____

8. რატომ შეაჩერეთ არჩევანი ჩვენ კურსდამთავრებულზე?-----

-

9. გთხოვთ მოგვაწოდოთ რეკომენდაციები იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება გაიზარდოს თქვენს სფეროში შრომის ბაზარზე ჩვენი კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობა (ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამაში, პრაქტიკა შესაბამის ორგანიზაციებში, მეთოდოლოგიის შეცვლა და სხვ.).-----

10. თქვენს დაწესებულებაში რა კვალიფიკაციაზეა ძირითადად მოთხოვნა? -----

კურსდამთავრებულის კითხვარი

კურსდამთავრებულის კვალიფიკაცია-----

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების წელი -----

1. რამდენად უზრუნველყო თქვენს მიერ მიღებულმა განათლებამ ის მოთხოვნები, რაც აუცილებელია თქვენი საქმიანობის შესასრულებლად?

- ა) სრულად;
- ბ) ნაწილობრივ;
- გ) ვერ უზრუნველყო

2. დღევანდელი შეფასებით, რამდენად ადეკვატურად შეარჩიეთ თავდაპირველი პროფესია/სპეციალობა/სასწავლებელი?

- ა) ადეკვატურად
- ბ) ნაწილობრივ
- გ) არაადეკვატურად

3. თუ დაგჭირდათ დამატებით განათლების მიღება, სად და რა ფორმით მიიღეთ ის? რა დრო და ფინანსები დაგჭირდათ გადამზადებისათვის?

- ა) არ დამჭირდა
- ბ) დამჭირდა

4. თქვენს მიერ მიღებული ცოდნა მიგაჩნიათ თუ არა საკმარისად სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის? (უარყოფითი პასუხის გაცემისას დაკონკრეტდეს რა სახის ცოდნა აკლია, მაგალითად: თეორიული, პრაქტიკული, უცხო ენის სწავლება და სხვ.)

- ა) კი
- ბ) არა

5. რა წესით მოხდა თქვენი შერჩევა ამ ვაკანსიის დაკავებისას?
ა) გამოვეხმაურე გამოცხადებულ ვაკანსიას
ბ) პირადი ნაცნობობით
გ) დავიწყე სტაჟირებით
დ) სხვა
6. გთხოვთ გვიპასუხოთ, რამდენად შეესაბამებოდა თქვენი თეორიული მომზადება იმ პრაქტიკულ ამოცანებს, რომლის გადაწყვეტა მოგიწიათ თქვენს სამსახურში?
ა) შეესაბამებოდა
ბ) ნაწილობრივ შეესაბამებოდა
გ) არ შეესაბამებოდა დ) სხვა _____
7. ხომ არ აპირებთ კვალიფიკაციის შეცვლას ან დამატებითი სპეციალობის შესწავლას? (დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ მიუთითოთ, რომელ დაწესებულებაში და რამდენ ხანში აპირებთ განათლების გაგრძელებას).
ა) კი
ბ) არა
8. აპირებთ თუ არა თქვენი სპეციალობით სწავლის გაგრძელებას და ცოდნის გაღრმავებას? (დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ მიუთითოთ რომელ დაწესებულებაში; უარყოფითი პასუხის შემთხვევაში დავაზუსტოთ მიზეზი, მაგალითად: შესაბამისი ცოდნის არარსებობის გამო, დროის სიმცირის გამო და სხვ.)
ა) კი
ბ) არა
9. რა პრობლემები შეგხვდათ სამსახურის მოძიებისას?
10. გთხოვთ, დაასახელოთ ის დარგი/საკუთხები, რომელშიც თქვენი აზრით არ მიგიღიათ საკმარისი თეორიული ცოდნა, ან რომელიც არ ისწავლება საკმარისად ღრმად?